ევროკავშირის ბიულეტენი

№ 4, მივნისი 2023

EUROPEAN TIME

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ეკატერინე ქარდავა
სამართლის დოქტორი
ჟან მონეს პროფესორი

ასოცირების შეთანხმებით დადგენილი მდგრადი განვითარების პრინციპი

ევროკავშირს, მის წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების DCFTA-ის ნაწილში (მე-4 კარის მე-13 თავში) დადგენილია პრინციპი რომლის შესაბამისად უნდა განვითარდეს ქვეყნის **ვაჭრობა და მდგრადი განვითარება**, კერძოდ:

მხარეები აღიარებენ, რომ ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და გარემოს დაცვა მისი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგამაძლიერებელი საშუალებებია.

როდესაც საქართველო ახორციელებს ევროკავშირის სამართალთან ქართული კანონმდებლობის სამართლებრივ აპროქსიმაციას/დაახლოებას ან შეიმუშავებს პოლიტიკას, სამი ფუნდამენტური მიზნის წონასწორობა და ურთიერთდაუზიანებლობა უნდა უზრუნველყოს: ა) სავაჭრო მიზნის; ბ) შრომის მიზნის; გ) გარემოსდაცვითი მიზნის.

ზემოაღნიშნული ნიშნავს შემდეგს: არც სავაჭრო მიზნებმა უნდა დააკნინოს შრომითი და გარემოსდაცვითი მიზნები; არც გარემოს დაცვის მიზნით, უნდა იქნეს უგულვებელყოფილი სავაჭრო და შრომითი მიზნები; არც შრომითი მიზნების გამო, უნდა „დაიჩაგროს“ სავაჭრო და გარემოსდაცვითი მიზნები.

ვაჭრობა და მდგრადი განვითარება - ბიზნესის, ადამიანისა და გარემოს დაცვის წონასწორობისა და გაფრთხილების პრინციპია. ამგვარად უნდა ხედავდეს ევროპულ განვითარებას ხელისუფლებაც, ხალხიც და ბიზნესიც.

ეს ასპექტი თვალსაჩინოა ასოცირების შეთანხმებაშიც, რამეთუ საქართველოს ყველაზე მეტი ვალდებულება ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა (აპროქსიმაციისა) აქვს ასოცირების შეთანხმების სავაჭრო კარის (DCFTA) ნაწილში.

გურანდა ჭელიძე
ისტორიის დოქტორი
ჟან მონეს პროფესორი

რა არის ევროზონა და რატომ არ არის ევროკავშირის ყველა წევრი ევროზონაში?

ევროზონა შედგება ევროკავშირის იმ წევრი ქვეყნებისგან, რომლებმაც მიიღეს ევრო, როგორც ვალუტა. ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის (EMU) ნაწილია. **ევროზონა შედგება 20 ქვეყნისგან**: ბელგია, გერმანია, ირლანდია, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ავსტრია, პორტუგალია, ფინეთი, საბერძნეთი, სლოვენია, კვიპროსი, მალტა, სლოვაკეთი, ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა და ხორვატია. **ევროზონაში არ შედის** ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და შვედეთი. ეს ის ქვეყნებია (ევროკავშირის წევრი ქვეყნებია), სადაც ევრო ჯერ კიდევ არ არის მიღებული, როგორც ვალუტა, მაგრამ ყველა მათგანი შეუერთდება ევროზონას მას შემდეგ, რაც დააკმაყოფილებს ამისათვის აუცილებელ პირობებსა და მოთხოვნებს.

ევროზონაში გასაწევრიანებლად ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მოეთხოვებათ ე.წ. „კონვერგენციის კრიტერიუმები“. ეს სავალდებულო ეკონომიკური და სამართლებრივი პირობები შეთანხმებული იქნა მაასტრიხტის ხელშეკრულებაში 1992 წელს და ასევე ცნობილია როგორც „მაასტრიხტის კრიტერიუმები“. ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა (დანიის გარდა) ვალდებულია მიიღოს ევრო და შეუერთდეს ევროზონას მას შემდეგ რაც ისინი მზად იქნებიან. არ არის დაკონკრეტებული ევროზონაში გაწევრიანების კონკრეტული გრაფიკი, მაგრამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა, შეიმუშაონ საკუთარი სტრატეგიები ევროს მიღების პირობების შესასრულებლად.

ევროკავშირის გაფართოებების დინამიკა

Erasmus+ წარმოადგენს ევროკავშირის პროგრამას ევროპაში განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის მხარდასაჭერად. Erasmus+ ბიუჯეტი შეადგენს 26,2 მილიარდ ევროს. თითქმის ორჯერ აღემატება მისი წინამორბედი პროგრამის დაფინანსებას (2014-2020 წწ.) და სთავაზობს უფრო მეტი მობილურობისა და თანამშრომლობის შესაძლებლობას უმაღლესი განათლების, პროფესიული განათლების, საშუალო განათლების, ზრდასრული განათლების, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით.

Erasmus+ პროგრამაში სრულად მონაწილეობის უფლება აქვთ ევროკავშირის წევრ ქვეყნებსა და პროგრამასთან ასოცირებულ მესამე ქვეყნებს. მათ შორისაა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნები. მათ პროგრამის ქვეყნებს უწოდებენ.

მესამე ქვეყნებს, რომლებიც არ ასოცირდება პროგრამასთან და რომლებსაც ადრე პარტნიორ ქვეყნებს უწოდებდნენ, შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ Erasmus+-ის მხოლოდ ცალკეულ მიმართულებებში. **საქართველო არ არის პროგრამის ასოცირებული წევრი, თუმცა მისთვის მიცემული მიმართულებების ფარგლებში აქვს მნიშვნელოვანი მიღწევები.**

Erasmus+ 2021-2027 წლების პროგრამა უმთავრეს ყურადღებას უთმობს სოციალურ ინტეგრაციას, მწვანე და ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლას, ხელს უწყობს ახალგაზრდების მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში.

ლექსიკონი

ევროპული ცენტრალური ბანკი (ECB) არის ევროკავშირის წევრი ქვეყნების (რომელთა ვალუტა ევროა) ცენტრალური ბანკი. ECB ინარჩუნებს ფასების სტაბილურობას ევროზონაში, უზრუნველყოფს ევროპული საბანკო სისტემის მდგრადობასა და უსაფრთხოებას; ადგენს საპროცენტო განაკვეთებს, რომლითაც იგი სესხებს აძლევს კომერციულ ბანკებს ევროზონაში;

დაარსდა 1998 წელს და მდებარეობს ფრანკფურტში (გერმანია).

გამოქვეყნებები და მნიშვნელოვანი ლინკები

ევროპული სამართალი, ოპერმანი/კლასენი/ნეთესჰაიმი, სასწავლო სახელმძღვანელო (ქართულ ენაზე), http://lawlibrary.info/ge/books/GIZ_EULAW.pdf

EUROPEAN TIME

მოგვწერეთ, გვკითხეთ
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com